გიორგი სესიაშვილის ევროპული სამხატვრო გამოცდილება და თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდი

სოფიო პაპინაშვილი

საკვანძო სიტყვები: *გიორგი სესიაშვილი, გრაფიკა, ჟენევა, პარიზი, ევროპული გამოცდილება, „ჟენევური ესკიზები“, კუბისტური მხატვრობა, აფრიკული ნიღბების გავლენა, ქართველი თავადები, ყოფითი სიუჟეტები.*

სურვილი, შემესწავლა მოქანდაკისა და მხატვრის, გიორგი სესიაშვილის შემოქმედება, გაჩნდა მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინე მის მიერ შესრულებული შიშველი სხეულის მცირე სკულპტურული ფიგურები. მოქანდაკის ოჯახში დაცული უდიდესი კოლექციის მოძიებით კი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მივაკვლიე, რაც გიორგი სესიაშვილის პირველ მხატვრულ მცდელობებს, კერძოდ კი, ჟენევის სამხატვრო სასწავლებელში გატარებულ რამდენიმე თვეს უკავშირდება.

გიორგი სესიაშვილი 1912 წელს ფრანგული ენის შესასწავლად შვეიცარიაში, კონკრეტულად კი ჟენევაში მიემგზავრება. იქ, ენის დაუფლებასთან ერთად, მხატვრობაშიც ცდის ბედს. იგი, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობ ერთ-ერთ კერძო სამხატვრო სასწავლებელში შედის. ჟენევის პერიოდს უკავშირდება სწორედ, მომავალი მოქანდაკის ის გრაფიკული ჩანახატები, რომლებიც სათუთად ინახებოდა გიორგი სესიაშვილის მემკვიდრეთა ოჯახში. მოქანდაკის შემოქმედების შესახებ მეტად მწირი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და ისინი ძირითადად მიმოხილვითი ხასიათისაა. მისი სკულპტურული შემოქმედების ზოგადი დახასიათებაა მოცემული შალვა კვასხვაძისა და ვახტანგ ბერიძის პუბლიკაციებში.[1]

ასევე, ხელოვნებათმცოდნე ოთარ კაიშაურის დისერტაცია სრულად ეძღვნება გიორგი სესიაშვილის შემოქმედებას. ჩემ მიერ მიკვლეულმა მასალამ დამარწმუნა, რომ გიორგი სესიაშვილის შემოქმედება ძირფესვიან შესწავლას ითხოვს და ამ კონტექსტში, აუცილებელია ყურადღება მიექცეს შვეიცარიული პერიოდის ნამუშევრების განხილვასაც, როგორც მხატვრის და მოქანდაკის ფორმირების საწყის პერიოდს. მართალია, ამ დროისთვის, ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია ვინ იყო მისი პედაგოგი, თუმცა, ერთი რამ ნათელია, მიუხედავად გარკვეული ტექნიკური ხარვეზისა, რაც დამწყები მხატვრისთვის ბუნებრივია, ჩვენ წინაშე გრაფიკული ხელოვნების პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისების საოცარი სურვილი მოწესრიგებულ კომპოზიციურ ნახატში, ხაზის პლასტიკის შეგრძნებასა და ჩრდილ-სინათლის ზომიერ დამუშავებაშია გამოვლენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრაფიკული ხელოვნება მომავალი მოქანდაკისათვის არამხოლოდ დამხმარე, ესკიზური ჩანახატის ფუნქციის მატარებელი იქნება, არამედ დამოუკიდებელი გრაფიკული ნიმუშის ხასიათსაც შეიძენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გრაფიკამ გიორგი სესიაშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მოქანდაკის შესახებ არსებულ ისედაც მწირ სამეცნიერო ლიტერატურაში, საერთოდ იგნორირებულია მხატვრისა და მოქანდაკის შემოქმედების ეს მხარე. ავტორები, მათ შორის ქართული ქანდაკების განვითარების ისტორიის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე ლელა შანიძე ერთხმად ავითარებენ აზრს, რომ მოქანდაკე გიორგი სესიაშვილის ძირითად თემას მცირე სკულპტურების ძერწვა და ადამიანის დაკუნთული შიშველი სხეულების წარმოჩენა წარმოადგენდა.

გიორგი სესიაშვილის უცხოეთში შესრულებუ-

1 კვასხვაძე, გიორგი სესიაშვილი, 1962, გვ. 51-53; ბერიძე, გიორგი სესიაშვილი – 100, 1995. გვ. 143-145;

ლი გრაფიკული ნახატები შესაძლებელია თემატურად ორ ჯგუფად დაიყოს, პირველ ჯგუფს შეადგენს სამშობლოს მონატრებით, ერთგვარი ნოსტალგიური განწყობის ქართული სოფლის ყოფითი ჟანრის ჩანახატები. მეორე განსხვავებული შინაარსისაა: ეს არის ერთგვარად, ეროტიკული განცდის ამსახველი სასიყვარულო სცენა. ორივე ჯგუფის ჩანახატებისათვის დამახასიათებელია შესრულების სწრაფი მანერა. ამ თითქოს, ნაუცბათევად ხელის ერთი მოსმით შექმნილ ე.წ. „ჟენევურ ესკიზებში“ გამოკვეთილია ხაზის დომინანტური როლი. მათში, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ურთიერთგადამკვეთი ხაზებით მიღწეულია დაძაბული ხაზოვანი რიტმიკა, ფანქრისა და ტუშის სხვადასხვა ინტენსივობის დაწოლით გამოყენებულია მსხვილი ენერგიული დაშტრიხვა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჯგუფის ნახატებში აშკარაა, რომ ახალბედა ავტორი დაუფლებულია სასურათე სიბრტყეზე ხაზის დინამიკურ პლასტიკურ მოძრაობას, მხატვარი არ ცდილობს ნამუშევრის აკადემიურად გამართვას. მას სურს თითქოს დაუსრულებელი, სწრაფი ჩანახატით გარკვეული განწყობა შექმნას. ამაში კი, მას ხელს უწყობს ასასახი გარემოს ფრაგმენტირებულად წარმოჩენა, როდესაც სასურათე სიბრტყეზე დატოვებულია ცარიელი, ფანქრით დაუმუშავებელი არეები და მხოლოდ კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ადამიანთა სახასიათო ტიპაჟი, გამოკვეთილია სხეულის პლასტიკა.

ჟენევაში შესრულებული პირველი ჯგუფის ჩანახატებში გადმოცემულია თავადების ყოველდღიური ყოფა, ძირითადად, სმა-ჭამა და დროსტარება. ასეთია რამდენიმე უსათაურო ნამუშევარი, მაგალითად, „ქართველი თავადების შესვენება“ (სურ. 1) და „მოდი ერთი შენც დაგვლოცე“ (სურ. 2). ასევე, ერთ-ერთ ჩანახატზე (სურ. 3) სადღაც მის მეხსიერებაში ადევნებული ქართველი ჯარისკაცის გამოსახულებაა. შესაძლოა, ეს შემაღლებულ ბორცვზე მდგომი, თოფმომარჯვებული მესაზღვრეც იყოს, რომელიც არემარეს ზვერავს. ჯარისკაცი სპეციალური ეკიპირებით, ჩვენგან სამ-მეოთხედ ბრუნშია მოცემული. სხეულსა და სანახევროდ გამოჩენილ სახესაც ქართული იერი დაკრავს. ბორცვზე საბრძოლო შემართებით მდგომი მარტოდმყოფი ჯარისკაცის გარემო, მხატვარს რამდენიმე სწრაფი ხაზით აქვს შემოფარგლული, ხოლო ნიადაგზე ჩრდილის სახით დატანილია სხეულისა და იარაღის მცირე ზომის გამოსახულება. ეს მინიმალისტური შტრიხებიც კი კარგად გადმოსცემს პერსპექტივის ილუზიას და პროპორციის სისწორეშიც გვარწმუნებს. უდავოა, რომ დამწყებ ხელოვანს, ამ დროისთვის რეალისტური მხატვრობის პრინციპების გარკვეული ცოდნა უკვე ჰქონდა. ამ ჯგუფის ნახატებში ხაზგასმული ქართული ნარატივი, ქართული ნაციონალური ნიშნების გამოკვეთა, უცხოეთში მყოფი მხატვრის სამშობლოსადმი ნოსტალგიაზე მეტყველებს. სავარაუდოდ, ახალბედა მხატვრისთვის მეხსიერებაში ნათლად ჩარჩენილი ქართული ყოფის სცენების გადმოცემაც უფრო მარტივი იქნებოდა. ამ მხრივ, ფსიქოლოგიური დახასიათების გადმოცემისა და ტიპური სახის დაფიქსირების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს, ქართველი გლეხიაცის პორტრეტული გრაფიკული ჩანახატი „მოხუცი დოქით ხელში“ (სურ. 4).

გიორგი სესიაშვილი მთელი თავისი შემოქმედების განმავლობაში გატაცებული იყო ადამიანთა პლასტიკის ასახვით, მათი სხეულების დინამიკაში წარმოდგენით. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ორი საპირისპირო სქესის ურთიერთობა და ეროტიზმი მის გრაფიკულ შემოქმედებაშიც იჩენს თავს. ამჯერად, მის უადრეს, გრაფიკულ ნახატს „ცდუნება“ (სურ. 5) განვიხილავთ, რომელიც 1912 წელს, სწორედ ჟენევაში ყოფნისას შეასრულა.

მდელოზე წამოწოლილი შიშველი ქალი, რომელიც თავით მარცხენა ხელს ეყრდნობა, მშვიდად და აუღელვებლად უყურებს მის წინაშე მდგომ შიშველ მამაკაცს ყვავილით ხელში. ნახატი, ჩემი აზრით, ქალისა და მამაკაცის ეროტიკული ურთიერთობის ჟინსაც აღწერს, რომელიც შესაძლოა მის სურვილებთანაც იყოს დაკავშირებული, მეორე მხრივ, სრულად ვერ გამოვრიცხავ ავტორის ქვეცნობიერში დალექილ ინფორმაციას ედემის ბაღში მომხდარი ცდუნების ფაქტის შესახებ. თუ ჩავთვლით, რომ ნახატი გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა, ევას ცდუნებას აღნიშნავდეს, მაშინ საინტერესო არის ის, რომ მის წინაშე მაცდუნებელი არა გველია, არამედ რქიანი და მოგრძო სახის წვეროსანი მამაკაცი[2].

2 მხატვარი მამაკაცს თხის ფორმის წვერით ხატავს. რქიანი, ავხორცი არსება კი ბერძნულ მითოლოგიაში სატირია, რომელიც

რელიგიური თემის ასახვის აზრს მივითარებს აღწერილი გარემო (მოქმედება ხდება ბუნებაში, მდელოზე და არა ინტერიერში). ხეების მხოლოდ ტანი ჩანს და ტოტები სასურათე სიბრტყიდან ქრება (ეს მეთოდი XX საუკუნის დასაწყისში იმპრესიონიზმის დამსახურებით უკვე მიღებული და ცნობილი იყო). ერთადერთი ხე, რომელიც დასრულებული და ფოთლოვანია, მამაკაცის გასწვრივ მდებარეობს. შესაძლოა, ამით მინიშნებაც იყოს, რომ მის ხელში არსებული ყვავილი ის ნაყოფია, რომელიც ქალისთვის საცდური აღმოჩნდება. ნახატის ეროტიკული თემის ახსნაც საინტერესოა. ურთიერთობაში აქტიური მამაკაცია და ყვავილის მიწოდებასთან ერთად, სხეულითაც გადახრილია მისკენ, მარცხენა ხელით კი მიწას ეყრდნობა. ზურგით წარმოდგენილი მამაკაცის სხეული ანატომიური სიზუსტით არის შესრულებული, პროპორციებიც დაცულია და კუნთოვანი სისტემაც - გამოკვეთილი. ამ დეტალებში მხატვრობის პრინციპების ცოდნა კარგად ჩანს. ქალი, ამ შემთხვევაში, პასიურია, რადგან ის არ ჩქარობს მისთვის ყვავილის გამორთმევას და თითქოს, აკვირდება სიტუაციას. არ არის გამორიცხული, რომ ნამუშევრის ამ რაკურსით განხილვისას საქმე ეხებოდეს მხატვრის პირად სიმპათიებს, რასაც აძლიერებს ქალის მარჯვენა მკერდზე აღბეჭდილი ასო-ბგერა „ნ“ და, შესაძლოა, მასში მისი სიყვარულის ობიექტი მოიაზრებოდეს. მხატვრული ანალიზისთვის უნდა გავიხსენოთ 1900-1910-იანი წლების ევროპული მხატვრული ტენდენციები – „არნუოვოს“, იგივე მოდერნის სტილი და მისთვის დამახასიათებელი გროტესკული სახეები, რქიანი და ავხორციანი სხეულები, რაც იმ პერიოდში ევროპული მხტვრობის ერთ-ერთი გამორჩეული კომპონენტი იყო. მამაკაცის მსგავსი გარეგნული ნიშნებიც ამას მიგვითითებს.

გიორგი სესიაშვილი იყო მხატვარი, რომელსაც თბილისში მხატვრობასთან კავშირი საერთოდ არ ჰქონია და მხოლოდ ჟენევაში ეზიარა პირველად თანამედროვე ხელოვნებას. საინტერესოა, იცნობდა თუ არა ის ახალ მხატვრულ ტენდენციებს, ან განიცდიდა თუ არა ვინმეს მხატვრულ გავლენას ამ კონკრეტულ ნახატზე მუშაობისას. სამწუხაროდ, დასაბუთებით პასუხის გაცემა გაგვიჭირდება, სანამ სრულად არ შეისწავლება მისი ევროპაში სწავლის ისტორია. ამ ნამუშევრით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართველი მხატვრები, რომლებიც 1910-იანი წლებიდან მოყოლებული სასწავლებლად ევროპაში მიდიოდნენ, ითვისებდნენ ხელოვნების ისტორიაში იქ არსებულ თანამედროვე მხატვრულ გამოწვევებს.[3]

ჟენევის პერიოდის ნახატებს შორის, ეს არის თემა, რომელსაც განვითარება, მოგვიანებით, საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის ხანაში ექნება, ოღონდ ფარულად და განსხვავებული სახით. ამ ეროტიკული ჟანრის ნაწარმოებებს, მოქანდაკე და მხატვარი გიორგი სესიაშვილი, რასაკვირველია, არ გამოფენდა.[4]

ჟენევის შემდგომ, მომდევნო ეტაპი, რომელიც გიორგი სესიაშვილის მხატვრულ წვრთნას უკავშირდება, პარიზული პერიოდია. როგორც მკვლევარი შალვა კვასხვაძე გვაუწყებს, პარიზში მან პირველი მცირე სკულპტურა ჩამოასხა, თუმცა, სამწუხაროდ დიდხანს ვერ გაჩერდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გამო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში წასვლას სესიაშვილი დამოუკიდებლად ვეღარ მოახერხებდა პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ ხელოვანისთვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იაკობ ნიკოლაძესთან შეხვედრა. იმ დროისთვის საქართველოში ქანდაკების ინტერესი ბევრ ახალგაზრდას არ ჰქონია. გიორგი სესიაშვილისთვის კი პროფესიონალ მოქანდაკესთან მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შრომისმოყვარე და ენთუზიაზმით სავსე მხატვრის პროფესიული განვითარების მესამე ხაზი უკვე თბილისთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. იაკობ ნიკოლაძეს გიორგი სესიაშვილი თავის სახელოსნოში მიუყვანია და უთქვამს: „აი, ასპარეზი და რაც გინდა ის აკეთე, იმუშავეო“ .[5]

ღმერთ დიონისეს ახლდა თან.

3 მსგავსი მაგალითები, რომლებიც საქართველოს გასაბჭოებამდე ევროპულ ცოდნას ადასტურებს, მართალია არ არის ბევრი, თუმცა მათი მნიშვნელობა ძალიან დიდია ქართული ხელოვნების ისტორიაში. ეს მხატვრები არიან: შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, გიგო გაბაშვილი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი.

4 გიორგი სესიაშვლის შესრულებული ეროტიული ნახატების შესახებ ინფორმაცია მომაწოდა მხატვარ დავით გაბაშვილის ქალიშვილმა, ნელი გაბაშვილმა

5 კვასხვაძე, გიორგი სესიაშვილი, 1962, გვ. 53.

კერძო კოლექციაში დაცული გიორგი სესიაშვილის გრაფიკული ნახატები, დაახლოებით, 1917-18 წლებშია შესულებული. ისინი, იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში შეგირდობის პერიოდს განეკუთვნება. ერთ-ერთი საინტერესო ნახატია (სურ. 6) გეომეტრიული ფორმებით შექმნილი მამაკაცის პორტრეტები. მასში კუბისტური მანერის ათვისების მცდელობაც ჩანს. მამაკაცის სტერეოტიპულ სახეში, რომელიც სასურათე სიბრტყეზე რამდენჯერმეა გამეორებული, სავარაუდოდ მოძებნილი მხატვრული სახის დაზუსტების მიზნით, განსაკუთრებით გამოკვეთილია თვალების კვადრატოვანი ფორმა, კუთხეთა წვეროებში გასმული სწორი ხაზით, რაც მის თვალდახუჭულ მდგომარეობას გადმოსცემს. მამაკაცის სახე იყოფა ორ ძირითად ნაწილად: მთლიანი სახის მოხაზულობაში ჩასმულია კიდევ ერთი კონტურით შემოსაზღვრული თვალ-წარბისა და ცხვირის მიდამოები. სახის ყველაზე მეტყველი არეების ამგვარი კონტურული აშკარა დიფერენცირებით გარკვეულწილად ნიღბისებური ეფექტი იქმნება. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება მომდევნო ნახატშიც „ცხენზე ამხედრებული მამაკაცი". საოცრად დინამიკური სხეული, კუნთოვანი მასები, სხეულის მოძრაობის სიზუსტე და მოქნილობა, მეორე მხრივ, ცხენის პლასტიკური ფორმები მძაფრ დინამიკას ქმნის.

უდავოდ, არქიტექტურული პროექტის სკულპტურულ ნაწილს უნდა ასახავდეს მომდევნო ნახატის (სურ. 7) კომპოზიციური წყობა. იგი, საინტერესოა, როგორც რელიეფური ქანდაკების მოსამზადებელი ესკიზი. ნახატი ორ ძირითად ნაწილად არის წარმოდგენილი, ქვედა ნაწილში სამ კვადრატოვან სივრცეში მდგომი შიშველი მამაკაცი ზიდავს კონსტრუქციას, ზემოთ კი თაღოვან ფორმაში წამოწოლილია ქალი და მამაკაცი. ამ უკანასკნელის სხეულის ფორმები კუთხოვანია, სახის მოხაზულობა კი აფრიკული ქანდაკებებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს გვახსენებს. არ არის გამორიცხული, რომ მხატვარს პარიზში ჰქონოდა ნანახი აფრიკული ნიღბები, რომლებიც იმხანად, დიდ პატივში იყო პარიზის მხატვრულ წრეებში, პარიზში ყოფნის პერიოდში, როგორც ხელოვნებათმცოდნე შალვა კვასხვაძე აღნიშნავს, გიორგი სესიაშვილი, თურმე კუბისტური ქანდაკების გამოფენებს ხშირად სტუმრობდა.[6]

იაკობ ნიკოლაძესთან გატარებული შეგირდობის პერიოდი, ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა გიორგი სესიაშვილისთვის. ამიტომ იყო, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიაში, პრაქტიკულად, იგი პროფესიულად დახელოვნებული შევიდა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოხვედრის შემდეგ იცვლება მისი მხატვრული სტილი და ცდილობს დაეუფლოს რეალისტურ ხელოვნებას. ფორმები ხდება მკვრივი და მოცულობითი, მიუხედავად იმისა, რომ შუქ-ჩრდილებს ამ ნამუშევართა უკეთესობაში არ იყენებს. აკადემიაში სწავლის პერიოდი, თითქოს არ გამოირჩევა მრავალფეროვანი სიუჟეტური ქარგით, ხატავს შიშველ სხეულებს სხვადასხვა სიტუაციაში, თუმცა არა ეროტიზმით განმსჭვალულს. აკადემიის დასრულებიდან კი, მის შემოქმედებაში უკვე ნელ-ნელა იჭრება საბჭოთა კულტურულ სივრცეში იძულებით დანერგილი სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, თუმცა, არაოფიციალურად, მოქანდაკე კვლავ აგრძელებს შიშველი სხეულების ხატვას, გამოქანდაკებას, ხატავს ეროტიკულ სცენებს, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ მის სახელოსნოში დაიდებს ბინას იმ დრომდე, სანამ მის სახელოსნოსაც არ გაქურდავენ.

გიორგი სესიაშვილის მხატვრობის ადრეული ეტაპის განხილვისას, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ იმ რთულ პერიოდში, სოცრეალიზმის ზეობის ხანაში, მომუშავე ხელოვანს სოციალური ნამუშევრების შექმნა აუცილობლად მოუწევდა. ამის გამო კი, ამ საინტერესო შემოქმედის სახელი სამუდამოდ „სოცრეალისტად" დარჩა. ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული პუბლიკაციაც დიდ როლს შეასრულებს გიორგი სესიაშვილის მხტავრული მნიშვნელობის რეაბილიტაციის საქმეში. იმის დასტურად, რომ მხატვარი სრულად არ იზიარებდა სოციალისტური რეალიზმის მიდგომებს პოლიტიკასა თუ მხატვრობაში, მიუთითებს 1981 წელს მის მიერ შესრულებული გრაფიკული ჩანახატი „ისტორიულ ორმოში" (სურ. 8. მისი რამდენიმე ვარიანტი ინახება ოჯახში). ამ საოცრად მწყობრ

6 ამ ინფორმაციას გვაწვდის ხელოვნებათმცოდნე შალვა კვასხვაძე და სტატიაში აღნიშნავს, რომ კუბისტური ქანდაკებების ხილვისას ქართველი მხატვარი პროტესტის გრძნობით განიმსჭვალა ამ მემარცხენე ფრთის მიმართ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ სტატიის გამოქვეყნების პერიოდს, არ უნდა გამოირიცხოს, რომ ეს მოსაზრება სოციალისტური მოთხოვნილებების გამო იყოს პუბლიკაციაში ჩართული. გიორგი სესიაშვილის აღნიშნული ნახატი, ვფიქრობ, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოს ადასტურებს.

ხაზობრივ რიტმულ-ტექტონიკურ მონაცვლეობაზე აგებული ნამუშევრით, ვფიქრობ, რომ მას საბჭოთა სისტემისადმი საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვა სურდა და უნდოდა ეთქვა, რომ ადრე თუ გვიან, ყველა დიქტატორულ რეჟიმს საზოგადოება „ისტორიულ სანაგვეზე“ მოისვრის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე, ვ. გიორგი სესიაშვილი - 100: [თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი. ცხოვრება და შემოქმედება] ხელოვნება, თბილისი, 1995. #1-3, გვ. 143-145.
- კაიშაური ო., მრავალმხრივი შემოქმედი: [გიორგი სესიაშვილის პორტრეტები და ძეგლთა პროექტები], საბჭოთა ხელოვნება, 1963,N#10, გვ. 72-78.
- კაიშაური ო., მრავალმხრივი შემოქმედი: [გიორგი სესიაშვილის ნამუშევრები ბარელიეფში. წერილი მეორე], საბჭოთა ხელოვნება, 1964, #7, გვ. 37-41.
- კვასხვაძე შ. გიორგი სესიაშვილი: [მოქანაკის შემოქმედებითი პორტრეტი], საბჭოთა ხელოვნება, 1962, #11, გვ. 51-53.
- მასხარაშვილი, გ. საჭრეთლის ოსტატი: [ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. სესიაშვილი], კომუნისტი, თბილისი, 1968, 24 აპრილი.
- მამალაძე, შ. გიორგი სესიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა [სახელმწ. სამხატვრო გალერეაში], ლიტერატურული გაზეთი, თბილისი, 1962, 29 ივნისი.
- მოქანდაკე გ. სესიაშვილი, დროშა, 1924, № 12, გვ. 29.
- პაპინაშვილი, ს. „მოქანდაკე გიორგი სესიაშვილის შემოქმედების დღემდე უცნობი არტიფაქტები“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“, კონფერენციის მასალები, 19-20 ოქტომბერი, ბათუმი, 2019. გვ. 87-90.
- საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სესიაშვილი: კატალოგი. საქ. სსრ კულტ. სამინისტრო, საქ. სსრ მხატვართა კავშირი, საქ. სახელმწ. სურათების გალერეა. თბ., 1962.
- ტვილდიანი, თ. გიორგი სესიაშვილის შემოქმედება, ქართული სახვითი და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება: კრებული/თბილისის სამხატვრო აკადემია, თბილისი, 1985, გვ. 52-55.
- შანიძე, ლ. ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბილისი, მეცნიერება, 1975.
- Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии 1921-1970, М., 1975.
- Кайшаури, О.Л. К истории грузинской советской скульптуры : (жизнь и творчество Георгия Сесиашвили): Автореф. Тбилиси, 1965.



1. გიორგი სესიაშვილი. ქართველი თავადების შესვენება. 1912.
GIORGI SESIASHVILI. GEORGIAN NOBLESAT BREAK. 1912.



2. გიორგი სესიაშვილი. მოდი ერთი შენც დაგვლოცე. 1912.
GIORGI SESIASHVILI. COME AND DRINK TO OUR HEALTH. 1912.

3. გიორგი სესიაშვილი. ჯარისკაცი. 1912.
GIORGI SESIASHVILI. SOLDIER. 1912.

4. გიორგი სესიაშვილი. მოხუცი დოქით ხელში. 1912.
GIORGI SESIASHVILI. AN OLD MAN WITH A JUG. 1912.

5. გიორგი სესიაშვილი. ცდუნება. 1912.
GIORGI SESIASHVILI. TEMPTATION. 1912.



6. გიორგი სესიაშვილი. პორტრეტული ესკიზები. 1917-1918.
GIORGI SESIASHVILI. PORTRAIT SKETCHES. 1917-1918.



7. გიორგი სესიაშვილი. არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიციის ესკიზი. 1917-1918. –
GIORGI SESIASHVILI . ARCHITECTURAL-SCULPTURAL COMPOSITION. 1917-1918.

8. გიორგი სესიაშვილი. ისტორიის ორმოში. 1981.
GIORGI SESIASHVILI . HISTORICAL HOLLOW. 1981.

GIORGI SESIASHVILI'S EUROPEAN ART EXPERIENCE AND HIS YEARS AT THE TBILISI ACADEMY OF FINE ARTS

Sopio Papinashvili

Key Words: *Giorgi Sesiashvili, Drawings, Geneva, Paris, European experience, "Genevan sketches", Cubist painting, influence of African masks, Georgian Princes, Existential story.*
Illustrations: *pp.261-264*

The desire to study the works by Giorgi Sesiashvili appeared after discovering his small nude sculpture figures. After discovering a vast collection preserved by the sculptor's family, I found it especially exciting and important to learn about Giorgi Sesiashvili's first artistic attempts during several months spent in Geneva.

After graduating from a Tbilisi secondary school in 1912, Giorgi Sesiashvili traveled to Switzerland, namely to Geneva, to study French, where he also delved into arts. He enrolled in an unspecified art school. The graphic sketches preserved by Giorgi Sesiashvili's family are linked to the Geneva period. Scientific literature on the sculptor's oeuvre is very scarce and sketchy. A general overview of his sculpture works is given in the publications of Shalva Kvaskhvadze and Vakhtang Beridze[1].

Art expert Otar Kaishauri has dedicated an entire thesis to the works of Giorgi Sesiashvili. The discovered materials convinced me of the importance to fundamentally study Giorgi Sesiashvili's art. In this context, his Swiss period, when he matured as a painter and sculptor, is of special interest. Though it is unknown who his pedagogue was, it is clear that despite specific technical deficiency, which is common among novice artists, his accurate compositions reveal an overwhelming desire to hone professional skills, as evidenced by his plastic line perception and sense of light and shade proportion.

Notably, these pieces of graphic art will not only be an auxiliary, draft work for the future sculptor but will also serve the function of independent, completed graphical works. Consequently, these graphic works hold an important place in the art of Giorgi Sesiashvili. This part of his creative work is completely ignored by scanty scientific literature dedicated to him. Authors, including fine art expert and Georgian sculpture history researcher Lela Shanidze, focus only on Giorgi Sesiashvili's small sculptures and nude muscled human bodies.

Giorgi Sesiashvili's graphic works created abroad can be thematically categorized in two groups. The first is represented by graphic sketches of Georgian rural routine life, inspired by the artist's nostalgia; the other group consists of works reflecting love scenes full of eroticism. The works of both groups are characterized by a quick drawing manner.

A clear dominant function of a line is vividly emphasized in these so-called Genevan quick sketches. The tense line rhythm is achieved through intercrossing horizontal and vertical lines; large, energetic strokes are created through various weight press on pencil and ink. The graphic sketches of the first group prove that the novice artist mastered the dynamic plastic movement of a line in picture plane; nevertheless, the artist does not try to finish his pictures academically but makes an attempt to render a certain mood by incomplete quick sketches. Herein, the fragmented introduction of the environment, when the picture plane is left blanc, helps the author focus only on flexible individual human figures in the center of the composition.

The pictures of the first group show Georgian aristocrats' routine life, mostly feasting and entertainment.

1 Kvaskhvadze, Giorgi Sesiashvili, 1962, p. 51-53; Beridze, Giorgi Sesiashvili – 100, 1995, p. 143-145.

There are works titled conventionally as Georgian Aristocrats Resting (pic. 1) and Come and Drink to Our Health (pic. 2). Another picture (pic.3), an image that came to his memory, presents a figure of a Georgian soldier standing on a hill, possibly an armed border guard observing the surroundings. The figure of the soldier is presented in three quarters turn. The body and half-face justify Georgian ethnicity. The environment around the figure is delineated with a few brisk lines, the shadow is a downsized figure of the soldier with a gun. The minimal number of strokes perfectly conveys an illusion of perspective and accurate proportions. No doubt that the beginner artist had already possessed the knowledge of realistic painting principles by that time. The Georgian narrative emphasizes Georgian national features in the pictures testifying to his nostalgia. Apparently, it was easier for the beginner artist to create scenes of Georgian routine life inspired nostalgia. From this point of view, an interesting example of rendering a typical face's psychological portrait is a picture of a Georgian peasant An Old Man with a Jug (pic. 4).

Throughout his creative career, Giorgi Sesiashvili was enamored with bodily flexibility and dynamic reflection. Oddly enough, opposite-sex relations and erotism are also demonstrated in his graphical works. Temptation (pic. 5) was created in his Genevan period. A figure of a nude woman lying in the meadow, leaning her head on her hand, looking at the figure of a nude man with a flower in his hand. In my view, the picture presents erotic relationships between a man and a woman. On the other hand, it is fair to assume that the temptation Eden had had its impact on the artist's subconscious. If we admit that the picture reflects Eva's temptation, from a certain point of view, then it is interesting that the tempter is not a snake but a horned man with a goatee[2]. The environment (the scene is in a meadow and not in an interior) creates religious associations. Only trees trunks are visible, while the branches are outside the scene (the method was already introduced by the impressionists in the early 20th century). The only tree in full length with leaves is placed next to the man, possibly an indication that the flower in the man's hand is the tempting fruit for the woman. An erotic interpretation of the picture might also be interesting. The man, who is active in relationships, is handing the flower leaning towards the woman and is touching the ground with his left hand. The man's body, exposed from his back, is created with anatomic accuracy; proportions and muscle systems are precise and distinct. These details bear witness to the artist's good knowledge of the principles of art. The woman is passive since she does not hurry to take the flower from the man and seems to be observing the situation.

Looking at the picture from this angle, we may assert that it reflects the author's affinity, which is proved by a letter "N" on the woman's right breast and suggests that the woman was possibly the author's love flame. In an imaginative analysis of the picture, we need to recollect the tendencies of the European art of 1900-1910: Art Nouveau with its peculiar grotesque style and original images of lustful horned bodies as one of the distinguishing characteristic components of the European art style. The external feature of the man indicates the above. It is interesting whether Giorgi Sesiashvili—an artist who had nothing in common with the art in Tbilisi, and was infatuated with modern art in Geneva—had any knowledge of art trends, or was influenced by somebody's art while working on this picture. Unfortunately, there is no answer to this question unless the Georgian artist's European experience is studied. The picture reiterates that Georgian artists who left for Europe to study art in the 1910s faced modern challenges[3].

The presented theme of the Genevan period is later developed in the era of Soviet ideology but in a hidden and modified form. Unsurprisingly, sculptor and painter Giorgi Sesiashvili did not exhibit his erotic genre works[4].

The post-Genevan period of Giorgi Sesiashvili's

2 The painter creates an image of a man with a goatee, while a horned lustful creature in Greek mythology is Satire, who accompanies Dionysus.

3 The examples of justification of European knowledge in Georgia of the pre-Sovietization period are minimal, but they are of particular importance for the Georgian art history. The representatives are Shalva Kikodze, Lado Gudiashvili, Iakob Nikoladze, Gogi Gabashvili, Davit Kakabadze, Elene Akhvlediani.

4 Nelly Gabashvili, the daughter of Davit Gabashvili, provided the Information on erotic pictures by Giorgi Sesiashvili.

training in art is tied to Paris where, according to art researcher Shalva Kvaskhvadze, he cast his first minor form. Unfortunately, due to compulsory military service, he could not stay in Paris much longer. After World War I, he would not be able to leave the country for Europe independently because of the existing political situation, which is why meeting with Iakob Nikoladze was so important to him. In Georgia of that period, there was a minimal number of young people interested in sculpture, while working with a professional sculpture was of particular importance for Giorgi Sesiashvili. The third stage of the professional development of the hard-working and enthusiastic artist is closely linked to Tbilisi. Iakob Nikoladze invited him to his workshop and told him: "You are free to do whatever you want in this workshop."[5] Giorgi Sesiashvili's works, kept in private collections, were created in 1917-1918, his apprenticeship period at Iakob Nikoladze's workshop. One of the exciting works is the portrait of a man created using geometrical figures (pic.6). It is an evident attempt to master the cubism manner of painting. A stereotypical man's face is repeatedly sketched in the picture plane, probably with the purpose of elaboration, the square-shaped eyes are mainly focused, the straight line in the angles delineates closed eyes. The man's face is divided into two parts: one is better outlined around the eyes and nose. By the outline differentiation of the most expressive parts of the face, the author creates an effect of a mask. A similar tendency is repeated in his next picture, A Man on Horseback. An amazingly dynamic body, muscles, preciseness, and flexibility of movement from one side, and the flexible form of the horse create a tense dynamic.

The composition of the next picture (pic. 7) is undoubtedly a sculptural part of an architectural project.

It is interesting as a draft sketch for a relief sculpture. The picture is presented in two main parts. A nude man is building in three quadrants of the lower part of the picture, while a woman and a man are crouching in the arch-form upper part. The bodies are angular in form, and the faces remind the typical features of African sculptures. It is possible that the painter saw African masks favored by the Paris artistic community. Art critic Shalva Kveskhvadze mentions that Giorgi Sesiashvili frequented cubist sculptors' exhibitions during his stay in Paris[6].

The apprenticeship period at the Iakob Nikoladzr workshop was very productive for Giorgi Sesiashvili and explains why he was already a skilled master when he entered the Tbilisi Academy of Fine Arts. After enrolling, his art style changes; he is trying to master the style of Realism. Figures become more solid and hefty, despite the fact that he does not chiaroscuro in most of his works. Diversity of themes is not his trait; he is mostly drawing nude bodies, albeit lacking eroticism, in various situations. After graduation, his works are more and more reflecting the principles of Socialist Realism compulsory on the Soviet cultural stage, though the sculptor continues drawing and sculpturing nude bodies in erotic scenes on the sly. These works were preserved in his workshop until it was robbed.

While studying Giorgi Sesiashvili's early art, it became clear to me that it was unavoidable for the artists of the communist period not to create social art pieces. It is the reason why the name of this exciting artist is forever linked to Socialist Realism. I hope that the presented work will contribute to the rehabilitation and appreciation of the artistic value of Giorgi Sesiashvili's works. The picture titled Historical Hollow (pic. 8, versions of the picture are kept by the family of the artist), created in 1981, proves that the author does not fully share the approaches of Socialist Realism in politics and art. The work, built on amazingly coherent rhythmic and tectonic alternations, demonstrates the author's negative attitude toward the Soviet dictatorship with its final destination in the "historical dust hole."

5 Kvaskhvadze, Giorgi Sesiashvili, 1962, p. 53.

6 Art Critic Shalva Kveskhvadze provides this information and mentions that the Georgian painter was filled with a sense of protest against the leftists when studying cubist sculpture works. If we take into account the period when the article was published, it is not excluded because the socialist requirements dictated it. I believe that the mentioned picture by Giorgi Sesiashvili proves the opposite.

REFERENCES:

- ბერიძე, ვ. გიორგი სესიაშვილი - 100: [თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი. ცხოვრება და შემოქმედება] ხელოვნება, თბილისი, 1995. #1-3, გვ. 143-145.
- კაიშაური ო., მრავალმხრივი შემოქმედი: [გიორგი სესიაშვილის პორტრეტები და ძეგლთა პროექტები], საბჭოთა ხელოვნება, 1963,N#10, გვ. 72-78.
- კაიშაური ო., მრავალმხრივი შემოქმედი: [გიორგი სესიაშვილის ნამუშევრები ბარელიეფში. წერილი მეორე], საბჭოთა ხელოვნება, 1964, #7, გვ. 37-41.
- კვასხვაძე შ. გიორგი სესიაშვილი: [მოქანაკის შემოქმედებითი პორტრეტი], საბჭოთა ხელოვნება, 1962, #11, გვ. 51-53.
- მასხარაშვილი, გ. საჭრეთლის ოსტატი: [ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. სესიაშვილი], კომუნისტი, თბილისი, 1968, 24 აპრილი.
- მამალაძე, შ. გიორგი სესიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა [სახელმწ. სამხატვრო გალერეაში], ლიტერატურული გაზეთი, თბილისი, 1962, 29 ივნისი.
- მოქანდაკე გ. სესიაშვილი, დროშა, 1924, № 12, გვ. 29.
- პაპინაშვილი, ს. „მოქანდაკე გიორგი სესიაშვილის შემოქმედების დღემდე უცნობი არტიფაქტები“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“, კონფერენციის მასალები, 19-20 ოქტომბერი, ბათუმი, 2019. გვ. 87-90.
- საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სესიაშვილი: კატალოგი. საქ. სსრ კულტ. სამინისტრო, საქ. სსრ მხატვართა კავშირი, საქ. სახელმწ. სურათების გალერეა. თბ., 1962.
- ტვილდიანი, თ. გიორგი სესიაშვილის შემოქმედება, ქართული სახვითი და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება: კრებული/თბილისის სამხატვრო აკადემია, თბილისი, 1985, გვ. 52-55.
- შანიძე, ლ. ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბილისი, მეცნიერება, 1975.
- Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии 1921-1970, М., 1975.
- Кайшаури, О.Л. К истории грузинской советской скульптуры : (жизнь и творчество Георгия Сесиашвили): Автореф. Тбилиси, 1965.